




# მოსახლეობის განწყობები კოვიდ-19-ის ვაქცინაციასთან დაკავშირებით

NDI საქართველო  
მარტი 2021

ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული გამოკითხვის, ფოკუს  
ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების შედეგები

# კვლევის საკითხები

- კოვიდ 19-ის ვაქცინისადმი ნდობა და სკეპტიციზმი;
- დამაჯერებელი მესიჯები და სანდო მესენჯერები.



# კვლევის მიზანი

გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის:

- კოვიდ-19-სა და ვაქცინაციის პროცესის მიმართ არსებული დამოკიდებულებებისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- სამიზნე ჯგუფების (სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები, ეთნიკური უმცირესობები, მართლმადიდებელი სასულიერო პირები) განწყობების შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის მიწოდება;
- საინფორმაციო კამპანიისთვის მესიჯების შემუშავებაში დახმარება.

# კვლევის დიზაინი



აღნიშნული კვლევა ჩატარდა საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტთან თანამშრომლობით.


## მეთოდოლოგია

### ფოკუს ჯგუფები:


- ❖ CRRC-ის კოორდინატორებმა გამოიყენეს “თოვლის გუნდის” მეთოდი სამედიცინო პერსონალისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა რეკრუტირებისთვის
- ❖ მონაწილეობა **ნებაყოფლობითია**
- ❖ ფოკუს ჯგუფები ჩატარდა ონლაინ, Zoom-ის გამოყენებით
- ❖ ფოკუს ჯგუფში დისკუსიას პროფესიონალი მოდერატორი უძღვებოდა, ღია კითხვებით შედგენილი გზამკვლევის გამოყენებით;
- ❖ ფოკუს ჯგუფები იწერება მონაწილეების თანხმობით. ანგარიშში მონაწილეთა **ანონიმურობა** დაცულია.

### სატელეფონო გამოკითხვა:

- ❖ საველე სამუშაოების პერიოდი: 17-24 თებერვალი, 2021
- ❖ 2,024 დასრულებული ინტერვიუ (25% გამოპასუხება)
- ❖ საშუალო ცდომილების ზღვარი  $\pm 1.4\%$ 
  - ❖ ცდომილების ზღვარი იცვლება სხვადასხვა კითხვის მიხედვით
- ❖ ყველა ინტერვიუ ჩატარდა **სატელეფონო გამოკითხვის** მეთოდით
- ❖ რესპონდენტები მარტივი შემთხვევითი შერჩევის გზით - შემთხვევით ნომერზე დარეკვის მეთოდით შეირჩა.
- ❖ ინტერვიუები ჩატარდა ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე
- ❖ კვლევა საქართველოს მთლიანი მოსახლეობის წარმომადგენლობითია (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით). გარდა ამისა, კვლევა წარმომადგენლობითია თბილისის, ურბანული და სოფლის ტიპის დასახლებებისთვის.



# ფოკუს ჯგუფები



2 ფ.ჯ

კოვიდ კლინიკების ექიმები (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი)

2 ფ.ჯ

არა-კოვიდ კლინიკების ექიმები (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი)

2 ფ.ჯ

კოვიდ კლინიკების ექთნები და სხვა სამედიცინო პერსონალი (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი)

2 ფ.ჯ

არა-კოვიდ კლინიკების ექთნები და სხვა სამედიცინო პერსონალი (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი)


2 ფ.ჯ

ექიმები მცირე და პატარა დასახლებებიდან (აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო)

4 ფ.ჯ

ეთნ. აზერბაიჯანელების ორი ჯგუფი (კაცებისა და ქალების ჯგუფები);  
ეთნიკური სომხების ორი ჯგუფი (შერეული ჯგუფები).

# სიღრმისეული ინტერვიუები მართლმადიდებელ სასულიერო პირებთან



**5**

სასულიერო პირები  
თბილისიდან

**3**

სასულიერო პირები  
რუსთავიდან, ზუგდიდიდან და  
ვანიდან

# მთავარი მიგნებები\*



- კორონავირუსის პანდემიის ერთი წლისთავზე, საქართველოს ზრდასრული მოქალაქეების მხოლოდ 35 პროცენტია მზად აიცრას, როდესაც/თუ მათი ვაქცინაციის ჯერი დადგება;
- ახალი კვლევის თანახმად, ქართველები არა ანტივაქსერები, არამედ კოვიდ 19-ის ვაქცინის სკეპტიკოსები უფრო არიან;
- უსაფრთხოების საკითხები ვაქცინაციისგან თავის შეკავების მთავარი მიზეზია;
  - ყველაზე გავრცელებული მოსაზრება: „კოვიდ-19 ვაქცინების გრძელვადიანი გვერდითი მოვლენები უცნობია, შესაბამის ეს საფრთხეებს შეიცავს“;
- მოქალაქეები ყველაზე მეტად ექიმებისა და ჯანდაცვის წარმომადგენლებისგან მიღებულ ინფორმაციას ენდობიან;
  - თუმცა ექიმებსა და დანარჩენ სამედიცინო პერსონალს შორის (როგორებიც არიან ექთნები და სანიტრები) ინფორმირებულობისა და ვაქცინაციის მხარდაჭერის თვალსაზრისით საგრძნობი განსხვავება არსებობს;
- ეკონომიკური გავლენა კვლავ რჩება COVID-19-ის შესახებ საუბრის მთავარ საკითხად;
- პარტიული სიმპატიები კვლავ კავშირშია COVID-19 ვაქცინაციისადმი დამოკიდებულებასთან.





# პანდემია და საზოგადოების განწყობა

*ქვეყნის წარმომადგენლობითი გამოკითხვის შედეგები*

# პანდემიასთან გამკლავება

საერთო ჯამში, როგორ შეაფასებთ, როგორ გაუმკლავდა საქართველოს მთავრობა კორონავირუსის პანდემიას? (q16)

დეკემბერი 2020    თებერვალი 2021



ჯანდაცვის სისტემის ძირითადი გამოწვევები - ჯანდაცვის  
მუშაკების აზრით (ფოკუს ჯგუფები)

პაციენტის შესახებ ხალხის ინფორმირებულობის ნაკლებობა  
**მოსალოდნელი მესამე ტალღა**  
საწოლებისა და სხვა სამედიცინო აღჭურვილობის ნაკლებობა  
**რეკომენდაციების დაცვის უზრუნველყოფა**  
**კოსტ-კოვიდური გართულებები**  
**პაციენტისთვის პროცესი**  
**პაციენტის ხარისხი**  
პაციენტთან დაკავშირებული დეზინფორმაცია

# მათი სიტყვებით

*ჯანდაცვის სისტემის მთავარი გამოწვევები*

# ციტატები

„ამ პანდემიაში ყველაზე დიდი გამოწვევა, ჩემი აზრით, იყო ვირუსული ინფექციების პათოგენეზის არ ცოდნა, საერთოდ ზოგადად, ექიმებში, მე არ ვგულისხმობ ინფექციონისტებს, როგორ გითხრათ, იცით სამწუხაროდ, ჩვენთან მოშლილია დახელოვნება, ეს უკვე რამდენი წელია, უკვე 10, რომ აღარ არსებობს და ისე იგრძნობოდა, იმიტომ პირველი პაციენტები ლამის (არ ისმის) მსხვერპლები გახდნენ, სულ მე რომ მკითხო, არ იყო რა თქმა უნდა საჭირო, ისეთი ინტენსიური და ზედმეტი პრეპარატები, ამ მხრივ და ზოგადად ვერ წავიდა ისე, როგორც უნდა წასულიყო“ - *ექიმი (ინფექციონისტი), ქალი, 75 წლის, კოვიდ კლინიკა, თბილისი*

„დღესდღეობით, ალბათ ყველაზე დიდი გამოწვევა იქნება, რომ ვაქცინაცია დროზე დაიწყოს, პირველ რიგში ვფიქრობ, რომ ეგ უნდა იყოს პირველი გამოწვევა. პატარ-პატარა პრობლემები ეხლა რაც არის, თუნდაც იყო ბევრ კლინიკაში, ჩემთანაც და სხვა კლინიკებიდანაც მესმოდა მაგალითად, რომ ჟანგბადების პრობლემა იყო და ესეც ძალიან დიდი გამოწვევაა, როცა შენი პაციენტის საწოლთან დგახარ, მკურნალობისთვის ყველაფერს აკეთებ და იმიტომ გეშლება ხელი, რომ ჟანგბადის ბალონი არ არის, ეს ძალიან დიდი პრობლემაა, ექიმისთვისაც და პაციენტისთვისაც“ - *ექიმი (კარდიოლოგი), ქალი, 29 წლის, კოვიდ კლინიკა, თბილისი*

„გარკვეული დროის მანძილზე და დღესაც ადმინისტრაციული ერთეული ღებულობდა უფრო მეტ ხელფასს და იყო უფრო მეტად დაცული და ბედნიერი, ვიდრე ეს იყო თვითონ მომუშავე პერსონალი, ეს არის უმნიშვნელოვანესი საკითხი და მაშინ როდესაც ექიმი, რომელიც დღე და ღამე მუშაობს კლინიკაში და ის იღებს 350 ლარს [...] ადმინისტრაციამ ხელფასი უნდა მიიღოს ეს უმნიშვნელოვანესია, რომ მართოს, მაგრამ თუ არ მიიღებს მომუშავე პერსონალი და მას არ ექნება კარგი პირობები, შრომის პირობები, ასეთ პირობებში ვერც ერთი დაწესებულება ვერ შედგება“ - *ექიმი (ოჯახის ექიმი), ქალი, 50 წლის, კოვიდ კლინიკა, თბილისი*

„ამ ეტაპზე მე ვფიქრობ, ერთადერთი გამოწვევა და მიზანი უნდა ქონდეს ჯანდაცვის სისტემას დროულად დავიწყოთ ვაქცინაცია და მათ ვისაც არ გადაუტანია, იქნებ ამით მაინც მივეშველოთ იმიტომ, რომ ისეთი ტალღა თუ წამოვიდა კიდევ, როგორიც გადავიტანეთ მართლა ძალიან გაგვიჭირდება ყველას ერთად.“ - *ექიმი (ემერჯენსი), ქალი, 30 წლის, კოვიდ კლინიკა, ბათუმი*

მთავარი გამოწვევები ექთნებისა და სანიტრებისთვის (ფოკუს  
ჯგუფები)

მედიკამენტების ნაკლებობა  
თავდაპირველი დაბნეულობა  
სსრესი  
ექთნების ნაკლებობა  
პანიკა  
ფსიქოლოგიური სტრესი  
ენაზე დაუბრუნების სიმსივნე  
ელჭურვილობის ნაკლებობა  
ქაოსი მეორე ტალღის დროს  
ოჯახთან განშორება  
ინფიცირების შიში

# მათი სიტყვებით

*ჯანდაცვის სისტემის მთავარი გამოწვევები*

# ციტატები

“ექთანის დეფიციტი იყო, პაციენტების რაოდენობა იმდენად ბევრი იყო, რო რთული იყო მუშაობა. ჩაცმა, გახდა, თვითონ ამ კომბინიზონებშიც ოთხ საათზე მეტი ყოფნა არ შეიძლებოდა. ჩვენ გვიწევდა ცხრა საათი, ათი საათი ერთ კომბინიზონში ყოფნა და იმდენად მოუმზადებლები ვიყავით თავიდან” - *ექთანი (ჰემოდიალიზი), ქალი, 49 წლის, კოვიდ კლინიკა, თბილისი*

“გავიხსენებ შემთხვევას, შედიხარ პაციენტთან არის გადაუდებელი მდგომარეობა და აღჭურვილობის ჩაცმას ჭირდება 15 წუთი, ვისაც კოვიდ დაავადებულებთან უმუშავია დამეთანხმება, დრო არ არის რომ აღჭურვილობა ჩაიცვა და დგები იმის წინაშე როგორ მოიქცე, ყოფილა ისეთი სიტუაციები შევსულვართ აღჭურვილობის გარეშე, რომ გადაგვერჩინა პაციენტი. აქედან გამომდინარე სირთულეები ძალიან ბევრი იყო, იყო რთული დღეები როდესაც გადაბმულად გვიწევდა მორიგეობა, საერთოდ 12 პაციენტთან, ურთულესთან ყოფილა ისეთი შემთხვევა რომ ერთი ექთანი ყოფილა, მაგრამ კარგად თუ ცუდად გადაიარა ამ დღეებმა.” - *ექთანი (კარდიოლოგია), ქალი, 22 წლის, არა-კოვიდ კლინიკა, ქუთაისი*

“ჩვენს მთავრობასაა თუ კლინიკა, არ უნდა ხელფასის გადახდა, უნდათ, რომ მუშა ხელი ბევრი ჰყავდეთ და ანაზღაურება უნდათ, რომ გადაიხადონ ძალიან ცოტა და არავინ არ არის მონა არავისი, არავის უღირს, რომ 200 ლარზე შენ 10-20 კოვიდ პაციენტს მიხედოს... ბევრმა ექთანმა თავი დაანება... ექთნების დეფიციტია იმიტომ, რომ არ უხდიან ნორმალურად და არავის უღირს საკუთარი ჯანმრთელობა ამ ფასად” - *ექთანი (ჰემოდიალიზი), ქალი, 40 წლის, კოვიდ კლინიკა, თბილისი*

„სამი თვის მანძილზე, მარტო ვიყავი სახლში, ისე, რომ ოჯახის წევრები არ მყოლია და ამ სამი თვის მანძილზე ავიღე რაღაც კაპიკები, 325 ლარი, ამ სამი თვის მანძილზე, უბრალოდ დაფასება ისწავლონ ჩვენი და ეს ხელფასები მოგვიმატონ, რა გახდა, ეს ხელფასები“ - *ექთანი (ამბულატორია), ქალი, 32 წლის, კოვიდ კლინიკა, თბილისი*

„დედას ვფიცავარ, შევსულვარ სამზარეულოში მარტო, კარი მომიხურავს და მიტირია იმიტომ, რომ მეტი აღარ შემიძლო, ვტიროდი სერიოზულად. მართლა აღარ შემიძლო, კატასტროფა გადავიტანეთ მართლა.“ - *ექთანი (ჰემოდიალიზი), ქალი, 57 წლის, კოვიდ კლინიკა, თბილისი*

# ციტატები

„ალბათ ვაქცინაციაც მთავარია ეხლა, როგორ მივაწოდებთ ინფორმაციას საზოგადოებას, როგორ განეწყობა საზოგადოება ვაქცინის მიმართ, მაგრამ კიდევ მთავარია ის, რომ პოსტკოვიდურ პაციენტებში გამოკვლევები, რომ ტარდება, ეს გამოკვლევები პაციენტის ჯიბეს ურტყამს, ასე ვთქვათ, რაღაც უნდა შემუშავებულიყო გეგმა, რომ პოსტკოვიდური ზოგი ერთი გამოკვლევა უფასო ყოფილიყო“ - *ექიმი (პედიატრი, ოჯახის ექიმი), ქალი, 59 წლის, არა-კოვიდ კლინიკა, ბათუმი*

„აკრძალვები, რომ მოიხსნა, როგორ მოხდება სიტუაციების მართვა, რომ არ მოხდეს გამეორება, იმაზე მეტი, რაც მოხდა უკვე, სერიოზული გამოწვევის წინაშე ვდგებით ეხლა, ბალები, სკოლები, ინსტიტუტები, მე ძალიან მეშინია აი ბავშვთა ასაკის, რომ დაიწყებენ ბალებში სიარულს, წამოვა ახალი ტალღა და როგორ მოხდება ამის მართვა, ამიტომაც ვაქცინა არის დროულად შემოსატანი ალბათ და მოსახლეობა მოსამზადებელი ამისთვის, რომ არ მოხდეს გამეორება იმ ყველაფრის, რაც გადავიარეთ“ - *ექიმი (ოჯახის ექიმი), ქალი, 53 წლის, არა-კოვიდ კლინიკა, ბათუმი*

„მე ძალიან სამწუხარო შემთხვევა მქონდა, ერთს გეტყვით, როდესაც რეანიმაციაში მყოფი ჩემი პაციენტი გავტესტეთ, პსრ ტესტირება და მშობელმა მიჩივლა იმაზე, რომ მისი შვილი დავჩიპე, მისი ნებართვის გარეშე. ოღონდ სასამართლომდე არის საქმე აღძრული, რომელიც ითხოვდა, რომ შემდგომ ეს ჩიპი, გაგვეკეთებინა ცხვირ ხახის რენტგენი და ასე შემდეგ. ასე, რომ საკმაოდ დაბალი დონეა საქართველოში კიდევ ვიმეორებ, ტესტირებაზე იყო ეს ამბავი, მითუმეტეს ვაქცინაციაზე და ბევრი არგუმენტი გვჭირდება იმისთვის, რომ მათ დავუმტკიცოთ, რომ აუცილებლად უნდა აიცრან.“ - *ექიმი (ნეონატოლოგი), ქალი, 36 წლის, არა-კოვიდ კლინიკა, თბილისი*

„პოსტკოვიდური გართულებები [არის დიდი გამოწვევა], მე ვფიქრობ, რომ უნდა იყოს ისეთი კლინიკები, სადაც შეედლებათ ეს გამოკვლევები ჩაიტარონ, აი ეს გამოკვლევები ჩაიტარონ და შემდგომი, როგორც საჭიროა ეს მკურნალობა, ზუსტად ის მკურნალობა, ამ პოსტკოვიდურ პერიოდში უნდა იყოს თვითონ ექიმებიც იმ დონეზე, რომ უნდა იცოდნენ, როგორი კუთხით და რანაირად მიუდგნენ პოსტ კოვიდურ პერიოდს.“ - *ექიმი (საზოგადოებრივი ჯანდაცვა), ქალი, 41 წლის, ვანი*




# ვინ აიცრება და ვინ არ აიცრება? რატომ?

*ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული გამოკითხვის შედეგები*


# ვაქცინაციის სახელმწიფო გეგმა

თქვენი აზრით, რამდენად ეფექტური ან არაეფექტურია კორონავირუსის წინააღმდეგ ვაქცინაციასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ შემუშავებული გეგმა? (20)




# ვაქცინაციის სახელმწიფო გეგმა

თქვენი აზრით, რამდენად ეფექტური ან არაეფექტურია კორონავირუსის წინააღმდეგ ვაქცინაციასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ შემუშავებული გეგმა? (20 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)





# გაიკეთებდით თუ არა კორონავირუსის ვაქცინას/ესრას?




# რატომ არ აიცრებოდით?

თუ არა, რატომ არ აიცრებოდით? (q22) - 65%-დან, ვინც არ თქვა, რომ აიცრებოდა




# რატომ არ აიცრებოდით?

თუ არა, რატომ არ აიცრებოდით? (q22 X დასახლების მიხედვით) – 65%-დან,  
ვინც არ თქვა, რომ აიცრებოდა




## რატომ არ აიცრებოდით?

თუ არა, რატომ არ აიცრებოდით? (q22 X სქესის მიხედვით) - 65%-დან, ვინც არ თქვა, რომ აიცრებოდა



## რატომ არ აიცრებოდით?


თუ არა, რატომ არ აიცრებოდით? (q22 X ასაკის მიხედვით) - 65%-დან, ვინც არ თქვა, რომ აიცრებოდა



# რეგრესიაზე დაფუძნებული ალბათობები: ვინ ემხრობა ვაქცინაციას? ვინ არის წინააღმდეგი?

- კაცები უფრო მეტი ალბათობით ამბობენ, რომ აიცრებოდნენ, ვიდრე ქალები.
- 55 წლის და უფროსი ადამიანები უფრო მეტი ალბათობით ამბობენ, რომ აიცრებოდნენ, ვიდრე უფრო ახალგაზრდები.
- საშუალოზე მაღალი განათლების მქონე ადამიანები უფრო მეტი ალბათობით ამბობენ, რომ აიცრებოდნენ ვიდრე საშუალო ან საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ადამიანები.
- ქართული ოცნების მხარდამჭერები უფრო მაღალი ალბათობით ამბობენ, რომ აიცრებოდნენ, ვიდრე ოპოზიციის მხარდამჭერები და ისინი, ვინც არცერთ პარტიას არ ასახელებს.
- ისინი, ვინც კორონავირუსის შესახებ ინფორმაციას პირველ რიგში ინტერნეტიდან იღებენ უფრო მაღალი ალბათობით ამბობენ, რომ აიცრებოდნენ, ვიდრე ისინი ვინც ინფორმაციას ტელევიზიიდან ან სხვა წყაროებიდან იღებენ. ისინი, ვინც ტელევიზიას ასახელებენ პირველ წყაროდ, თავის მხრივ, უფრო მეტი ალბათობით ამბობენ, რომ აიცრებოდნენ, ვიდრე ისინი ვინც სხვა წყაროებს ასახელებენ.


გაიკეთებდით თუ არა კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინას/აცრას? **დიახ**. ალბათობა რეგრესიაზე დაყრდნობით



# რეგრესიაზე დაფუძნებული ალბათობები: რატომ არა?

- ქალები უფრო მეტი ალბათობით ამბობენ, რომ არ ენდობიან კორონავირუსის ვაქცინის ხარისხს, ვიდრე კაცები.
- ქართული ოცნების მხარდამჭერები უფრო მცირე ალბათობით ამბობენ, რომ არ ენდობიან ვაქცინის ხარისხს ვიდრე ოპოზიციის მხარდამჭერები და ისინი, ვინც არცერთ პარტიას არ ასახელებს.
- ისინი, ვინც კორონავირუსის შესახებ ინფორმაციას პირველ რიგში ტელევიზიიდან იღებენ უფრო მაღალი ალბათობით ამბობენ, რომ არ ენდობიან ვაქცინის ხარისხს ვიდრე ისინი ვინც ინტერნეტს ან სხვა წყაროებს ასახელებენ ინფორმაციის წყაროდ.


რატომ არ აიცრებოდით? **არ ვენდობი კორონავირუსის ვაქცინის ხარისხს**. ალბათობა რეგრესიაზე დაყრდნობით




# რეგრესიაზე დაფუძნებული ალბათობები: ვინ არის დარწმუნებული, რომ პანდემიას ვაქცინის გარეშე გავუმკლავდებით?

- კაცები უფრო მეტი ალბათობით ამბობენ, რომ ვაქცინაციის გარეშე გავუმკლავდებით პანდემიას, ვიდრე ქალები.
- **18-34 წლის ადამიანები** უფრო მეტი ალბათობით ამბობენ, რომ ვაქცინაციის გარეშე გავუმკლავდებით პანდემიას, ვიდრე 54 წელზე უფროსი ადამიანები.
- **დედაქალაქში მცხოვრები** ადამიანები უფრო მეტი ალბათობით ამბობენ, რომ ვაქცინაციის გარეშე გავუმკლავდებით პანდემიას, ვიდრე სოფელში მცხოვრები ადამიანები.
- **ქართული ოცნების მხარდამჭერები** მაღალი ალბათობით ამბობენ, რომ ვაქცინაციის გარეშე გავუმკლავდებით პანდემიას, ვიდრე ოპოზიციის მხარდამჭერები და ისინი, ვინც არცერთ პარტიას არ ასახელებს.
- ისინი, ვინც კორონავირუსის შესახებ ინფორმაციას პირველ რიგში ტელევიზიიდან იღებენ უფრო დაბალი ალბათობით ამბობენ, რომ ვაქცინაციის გარეშე გავუმკლავდებით პანდემიას, ვიდრე ისინი ვინც ინტერნეტს ასახელებენ პირველ წყაროდ.

რატომ არ აიცრებოდით? **ვფიქრობ, რომ ვაქცინაციის გარეშე გავუმკლავდებით კორონავირუსის პანდემიას.** ალბათობა რეგრესიაზე დაყრდნობით



# ვინ არის ნაკლებად მოსალოდნელი, რომ აიცრას?



# განსხვავება ექიმებსა და სამედიცინო სფეროს სხვა წარმომადგენლებს შორის (ფოკუს ჯგუფებიდან)

- ფოკუს ჯგუფების თანახმად, ვაქცინაციის საკითხის ცოდნისა და ინფორმირებულობის კუთხით ექიმებსა და სამედიცინოს სფეროს სხვა წარმომადგენლებს შორის დიდი განსხვავებაა;
- ექთნებს ვაქცინაციასთან და კორონავირუსთან დაკავშირებით შეზღუდული ინფორმაცია აქვთ;
- ექთნებსა და სანიტრებს შორის კორონავირუსის ვაქცინასთან დაკავშირებით ბევრი სკეპტიკურად არის განწყობილი;
  - ბევრმა მათგანმა განაცხადა, რომ „მოიცდიან და ნახავენ“ როგორ იმოქმედებს ეს ვაქცინა სხვებზე;



# მათი სიტყვებით

*რა არის ვაქცინაციაზე უარის თქმის მიზეზები?*


# ციტატები (სამედიცინო პერსონალი)

“ვერ ვენდობი ვაქცინას, თვითონ ვირუსის წარმომავლობიდან გამომდინარე. ფაქტობრივად არც ვიცით საიდან მოვიდა ეს ვირუსი, რაღაცა გაურკვეველია ყველაფერი და მეც ასეთ გაურკვეველობაში ვარ”. - *ქალი, 52 წლის, ექთანი, ქირურგია, კოვიდ კლინიკა, ბათუმი*

“არა არ გავიკეთებ, სანამ არ იქნება სანდო ვაქცინა, მანამდე არ გავიკეთებ. არ უნდა იწვევდეს რაიმე გვერდით მოვლენებს, ეფექტებს და არ უნდა ხდებოდეს ორგანიზმში სხვა დაავადებების პროვოცირება”. - *სანიტარი, ქალი, 48 წლის, არა-კოვიდ კლინიკა, ქუთაისი*

“ამ ეტაპზე, პირველ ეტაპზე გადაწყვეტილი მაქვს, რომ არ გავიკეთებ ვაქცინას, იმიტომ არა, რომ არ ვეთანხმები არ ვემხრობი ან წინააღმდეგი ვარ, ახალი გადატანილი მაქვს და ესე გადავწყვიტე, შემდეგ ეტაპზე გავიკეთებ რა თქმა უნდა”. - *ექთანი (ანესთეზია, ინტენსიური განყოფილება), ქალი, 26 წლის, კოვიდ კლინიკა, თბილისი*

“მიუხედავად იმისა, რომ გადატანილიც მაქვს კოვიდი, ვიყავი დაინფიცირებული, მიუხედავად იმისა, რომ ვნახე, რა გამოიარეს ჩემმა პაციენტებმა, მაგრამ მე არ ვიცრები ამჟამად, რომც დრო მომივიდეს აცრის არ ავიცრები, მიზეზი ის არის, რომ არ ვთვლი ანუ საჭიროდ, რატომ ეხლა, მე ჩემს თავზე მაქვს საუბარი, რომ მქონდეს რამე დაავადება ისეთი, რამე სუსტად, რომ ვიყო ავიცრებოდი, არც ერთ ვაქცინას არ ვიკეთებ, არც გრიპის ვაქცინას”. - *ექთანი (ჰემოდიალიზი), ქალი, 40 წლის, კოვიდ კლინიკა, თბილისი*



# რას ფიქრობენ სხვადასხვა ჯგუფები ვაქცინის შესახებ?

*ეთნიკური უმცირესობებთან და სასულიერო პირებთან ჩატარებული  
ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების შედეგები*

# სიღრმისეული ინტერვიუები სასულიერო პირებთან

- გამოკითხული მღვდლების უმრავლესობამ თქვა, რომ მხოლოდ ვაქცინაციას შეუძლია პანდემიის დასრულება;
  - თუმცა ვაქცინის მომხრე მღვდლებიც კი გამოთქვამენ წუხილს ვაქცინის გრძელვადიან გვერდით მოვლენებზე;
- გამოკითხული მღვდლები (ვაქცინის მომხრეებიც კი) ამბობენ, რომ მრევლს ვაქცინაციისკენ ვერ მოუწოდებენ, რადგან საკუთარ თავზე ვერ აიღებენ ვაქცინასთან დაკავშირებულ პოტენციურ რისკებს;
- სასულიერო პირების თქმით, მათთვის სამედიცინო პროფესიონალთა აზრი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა რელიგიური ლიდერების;
- ვაქცინაციის მხარდამჭერ მამაოებს ოჯახში ჰყავდათ ექიმები და მათ/მათი ოჯახის წევრს გადატანილი ჰქონდათ კოვიდ-19;
- მღვდლები ხშირად იშველიებდნენ სინოდის გადაწყვეტილებას;
- ზოგმა ეკლესიის შიგნით არსებული დაძაბულობა ახსენა; რესპოდენტთა თქმით, მსახურების დროს ღიად ვაქცინაციის მხარდამჭერი განცხადებების გაკეთება პრობლემატურია, რადგან ეს ამ შიდა დაძაბულობას კიდევ უფრო გააღვივებს.

## მღვდლები გვირჩევენ:

- ვაქცინაცია არ უნდა იყოს სავალდებულო;
- დროულად უნდა დაიწყოს მასშტაბური საინფორმაციო კამპანია;
- ექიმები და სხვა სამედიცინო პროფესიონალები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები ამ კამპანიაში.

# მათი სიტყვებით

*სასულიერო პირები ვაქცინაციის შესახებ*

# ციტატები (სასულიერო პირები)

“მაშინ ვთქვი, ვისაც არ წამს, რომ ეს არის ქრისტეს სისხლი და ხორცი, ჩვენ ხომ არავის ვაძალებთ რომ მოდი და ეზიარე და ვისაც გულით სწამს და იცის და გულით მოდის საზიარებლად იმას არაფერი არ გადაედება აქედან და ვამბობდი და ვიტყვი. ვისაც არ სჯერა და არ წამს ნუ მოვა, ვეხვეწებით, ვაიძულებთ თუ რა. სხვათა შორის ძალიან დიდი ფილტრაცია მოახდინა მრევლში და ძალიან კარგად გამოჩნდა მრევლში და სამწუხაროდ, სასულიერო პირებშიც კი, სასულიერო იერარქიის მაღალ პირებში, რომ დიდი ნაწილი არ იყო დიდი რწმენით, ისეთი რწმენით როგორიც საჭიროა, იმიტომ რომ შეიკავეს თავი ზიარებისგან, დასპირტვა დაიწყეს, ეჭვი შეიტანეს რომ იქედან შეიძლება რამე გადასდებოდა. განგებ არ დავასახელებ სახელს და გვარებს, ვინ იყვნენ და რა იყვნენ, ეჭვი შეიტანეს,” – მღვდელი, თბილისი

“რუსეთის ეკლესიაში დასპირტვა დაიწყეს, შემდეგ სხვა მოძღვარმაც იქადაგა, მეც ვთქვი ამასთან დაკავშირებით, რომ სასულიერო პირი, რომელსაც სპირტის უფრო სჯერა, ვიდრე ქრისტეს სისხლი და ხორცის, რაღაზეა ლაპარაკი. მას გადასახედი აქვს რას სწამს მას და რისი სჯერა. ზიარება არის ქვაკუთხედი ჩვენი სარწმუნოების, ეს არის ერთ-ერთი საიდუმლო, უმწვერვალესი საიდუმლოთაგანი, რომელიც გაძლევს საშუალებას აქ დედა მყოფობის დროს თანაზიარი გახდე ქრისტესი, არამედ მისი უხრწნელი სისხლის და ხორცის ზიარი გახდე, შენ თუ ეს არ გჯერა და არ გწამს და გჯერა, რომ შეიძლება აქ რაღაც ბაცილამ დაგაინფიციროს და სპირტს უფრო მეტად ენდობი, რომელ რწმენაზე და სასულიერო პირობაზეა ლაპარაკი.” - მღვდელი, თბილისი

# ციტატები (სასულიერო პირები)

“სიფრთხილე აუცილებელია, ხაზი უნდა გაესვას, რომ სიფრთხილე სულ სხვა რამეა და შიში სხვა რაღაცაა. სიფრთხილე აუცილებელი და ჩვენს ტაძარში პირველები ვიყავით ვინც დავიწყეთ დისტანციების დაცვა, ყვავილებიც კი დავხატეთ ეზოში” - დეკანოზი, თბილისი

“სიფრთხილესა საჭირო, შიში და პანიკა კი არა, მგონია სადაც შიშია უფრო იზიდავს ამ ვირუსს და თუ სიფრთხილე არის და ვიცავთ რეკომენდირებულ წესებს, ჩვენ სხვა ჭრილსაც ვამატებთ აქ სულიერი ცხოვრებაც აუცილებელია, ხო გამიგეთ, ყველა სწეულება ყველაფერი სულიერებიდან გამომდინარეა, ვინ უფრო მიმზიდველია, ჩვენ ასე განვიხილავთ, რომ არ გამოვრიცხავთ რომ დავიცვათ ჩვენ წესები და სულიერად ცხოვრება არ გავასწოროთ” - დეკანოზი, დასავლეთ საქართველო

“მე ვფიქრობ, ალბათ ყველაზე ისეთი ქმედითი გამოსავალი ამ სიტუაციიდან ჩემი აზრით, ნუ აი ამ რეკომენდაციებთან ერთად, რომელსაც ჩვენ მთელი ეს პერიოდი ვიცავდით, ვიცავთ შეძლებისდაგვარად, მაგრამ ალბათ საბოლოო წერტილს ამას დაუსვამს ვაქცინა” - მღვდელი, დასავლეთ საქართველო

# ციტატები (სასულიერო პირები)

“ისევ და ისევ მოდი პირველ რიგში იმას გეტყვი, რომ ისევ ღვთის განგება [დაასრულებს პანდემიას], იმიტომ რომ ღმერთი გვიცავს და გვიფარავს ჩვენ. ყოველგვარი დაავადებებისაგან და ეპიდემიებისაგან. ეს პირველი ეპიდემია არ არის, რაც სამყაროში ეპიდემია და პანდემია არის, მანამდეც იყო შავი ჭირი, ხან კეთრი იყო. ათასი ვარიანტი იყო ხო?! და სამყარო გადარჩა და დღემდე მოვიდა ხომ ?! ესეც ადრე იქნება თუ გვიან იქნება გადაივლის აუცილებლად, ერთ მშვენიერ დღეს, უფლის წყალობით პირველ რიგში და აი ამ რაღაცა ჰიგიენის დაცვით იქნება, იმუნიტეტის გაძლიერებით იქნება, რეგულაციების დაცვით იქნება, დროთა განმავლობაში ახლა თუნდაც ის ყველაფერი ახლა რაც გამოიყენეს ეს ჩაკეტვები და რაღაცები, ფაქტია რომ თავის შედეგს იძლევა ” -  
*მღვდელი, თბილისი*

# ციტატები (სასულიერო პირები)

“მგონია, რომ აცრები ერთ-ერთი წინ დგას, რომ შემცირდეს და იმ წესების დაცვა რომელსაც გვეუბნებიან ჩვენ, ისევ ვლაპარაკობ მედიცინის დარგის მუშაკებზე და რა თქმა უნდა, ხაზს ვუსვამთ, რომ მეტად ჩავუღრმავდეთ რამდენად ახლოს ვართ ჩვენ სულიერ ცხოვრებასთან, [...] ყველა პრობლემა მოდის ღმერთისგან განდგომისაგან და რაც უფრო ფრთხილობს ადამიანი ცოდვაში არ ჩავარდეს, ახლოს იყოს უფალთან და იყოს სიკეთის და სიყვარულის გამომხატველი და სულიერი ბრონი და ფიზიკური ბრონიც არის ეს. მაგრამ აქ არ უნდა ჩავვარდეთ ფანატიზმში და არ უნდა გვეგონოს, რომ მე ასე ვცხოვრობ და არ მჭირდება, რეგულაციების დაცვა, ორივე ერთად.” - დეკანოზი, დასავლეთ საქართველო

“მე პირადად, თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, მე პირადად ავიცრები თუ ვაქცინა იქნება ნორმალური. ეხლა მე სახე ვარ ჩემი მრევლის, ხო? რომ შეხედავენ მე რას ვაკეთებ და თვითონაც თუ უნდათ რომ იყვნენ ჯანმრთელები და სრულყოფილები, თვითონაც აიცრებიან.” - მღვდელი, რუსთავი

# ეთნიკური სომხების ფოკუს ჯგუფები

- ორივე ფოკუს ჯგუფში უმრავლესობა ძირითადად მხარს უჭერდა ვაქცინაციას;
  - თუმცა, ჯგუფებს საკმაოდ მცირე ინფორმაცია ჰქონდათ არსებული ვაქცინების შესახებ;
  - რელიგიური ასპექტები არ ყოფილა დისკურსის ნაწილი;
- სკეპტიკოსები ეწინააღმდეგებოდნენ ვაქცინაციას, ძირითადად, ვაქცინის შესახებ ცოდნის ნაკლებობისა და შესაძლო გვერდითი მოვლენების შიშის გამო;
  - **მიზეზი:** ზოგიერთმა გაიხსენა შემთხვევა სომხეთიდან, სადაც ქალები, რომლებიც კიბოს საწინააღმდეგო ვაქცინით აიცრნენ, რამდენიმე წლის შემდეგ უნაყოფონი აღოჩნდნენ;
  - **მიზეზი:** ზოგიერთმა ახსენა რუსულ სატელევიზიო არხზე გასული გადაცემა; მათი მტკიცებით, ადამიანები პირდაპირ ეთერში აიცრნენ, რომლებსაც უცნაური გვერდითი მოვლენები განუვითარდათ და დაიღუპნენ.

# ეთნიკური სომხების ფოკუს ჯგუფები

- სხვა ჯგუფებთან შედარებით, უფრო მეტად ენდობიან რუსულ ვაქცინას;
- ვაქცინების შესახებ ადგილობრივი ექიმების აზრს ენდობიან;
- უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ გასულ წელს არ შეეძლოთ რუსეთში მოგზაურობა და ვაქცინაცია;
  - მათი პროდუქციის ფასი დავარდა;
  - სჯერათ, რომ კოვიდ-19-ის რეგულაციების სათანადოდ აღსრულება არ ხდება.

# ეთნიკური აზერბაიჯანელების ფოკუს ჯგუფები

- ბევრს არ სჯეროდა კორონავირუსის არსებობის შესახებ;
  - ხშირად გაჟღერდა: ვირუსი შეიქმნა ფინანსური მოგების მისაღებად (მსხვილი კორპორაციების მიერ), ვაქცინებზე მოთხოვნის შესაქმნელად;
  - ყველაზე დიდი მღელვარება: გვერდითი მოვლენები;
  - ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტი მათ დასარწმუნებლად: “ავიცრები თუკი ვაქცინაცია საზღვარზე გადასვლისთვის სავალდებულო იქნება”;
- გეოპოლიტიკა - მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი:
  - არჩევანის შემთხვევაში ბევრს ურჩევნია: ირანული და ჩინური ვაქცინები; მხოლოდ რამდენიმემ ახსენა ფაიზერის ვაქცინა;
  - არ ენდობიან რუსულ ვაქცინას.

# მათი სიტყვებით

*ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი  
უმცირესობები კოვიდ 19-ის ვაქცინის შესახებ*


# ციტატები (ეთნიკური უმცირესობები)

“არავითარ შემთხვევაში არ ავიცრებოდი, არ ვენდობი. ვფიქრობ რაღაცა მიზანი აქვს ამ ვაქცინაციას და ეს ბიზნეს-კომპანიაა. ეს ჩემი პირადი მოსაზრებაა. ჩემი აზრით კორონა ვირუსიც შემთხვევით არ მოსულა. წინასწარ დაგეგმილი თამაშია, ამიტომაც არც ჩემი და არც ოჯახის წევრების ვაქცინაცია არ მინდა”. - ეთნიკურად აზერბაიჯანელი, ქალი, 31 წლის, დასაქმებული, ქვემო ქართლი

“მე არ ვენდობი რატომ, ახლა გეტყვით. სკოლაში რომ გვიკეთებდნენ, ყველას ჰქონდა საკუთარი შპრიცი და ყველაფერს ჩვენს თვალწინ აკეთებდნენ. ახლა ვაქცინები მზად ფორმაში არის ჩამოტანილი რომელიღაც ქვეყნიდან, არ ვიცი რა ზუსტი შემადგენლობა. მართალია ცალკეულ შპრიცებშია, მაგრამ უკვე მომზადებულ ფორმაში. თუ სახელმწიფოს მეთაურებმა გადაწყვიტეს ვაქცინაციის საკითხი. ისინიც რომ გაიკეთებენ იმავე ვაქცინას, მაშინ ცოტა დავიჯერებდი”. - ეთნიკურად აზერბაიჯანელი, ქალი, 23 წლის, დასაქმებული, ქვემო ქართლი.

“რა თქმა უნდა არა, მე მაგისი საჭიროება არ გამაჩნია ნამდვილად. მე არ ვიცი ეგ რა არის და მაგაში რა შედის და არ მინდა. თუ დარწმუნებული ვიქნები, რომ კარგი მასალით არის შექმნილი და უსაფრთხოა უარზე არც მე არ ვიქნებოდი”. - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 68 წლის, პენსიონერი, სამცხე-ჯავახეთი

“მეც არა, არ მინდა. -არ მინდა სხვა დაავადებებიც ავიკიდო და მაგისი მეშინია. ეგრე ამბობენ, რომ თუ მაგას გაიკეთებ ბევრი სხვა დაავადება დაგემართება და შეიძლება ვერც გადაიტანო”. - ეთნიკურად სომეხი, კაცი, 18 წლის, მოსწავლე, სამცხე-ჯავახეთი



# როგორ წყვეტთ რომელი ვაქცინა არის უსაფრთხო? რომელ ვაქცინას ენდობით?

*სამედიცინო პროფესიონალებთან, ეთნიკური უმცირესობთან და სასულიერო პირებთან  
ჩატარებული ფოკუს ჯგუფებსა და სირღმისეული ინტერვიუების შედეგები*


# ყველაზე სანდო ვაქცინები

- **Pfizer** – ყველაზე ხშირად ნახსენები
- **AstraZeneca** – ხშირად ნახსენები

## რატომ ეს ვაქცინები?

იმიტომ, რომ:

- შექმნილია ევროპასა და აშშ-ში
  - “იქ მეცნიერება კარგად არის განვითარებული”
- მოისმინეს, რომ სამედიცინო სფეროს პროფესიონალები ენდობიან ამ ვაქცინას.



# მათი სიტყვებით

*ყველაზე სანდო ვაქცინების შესახებ*

# ციტატები

“გავიკეთებ, რომელიც შემოვა იმას გავიკეთებ. ჩინურს არ გავიკეთებ, ჩინურის გარდა გავიკეთებ ყველა ვაქცინას”. - ექიმი, არა-კოვიდ კლინიკა 3, ქუთაისი ბათუმი

"ხარისხიანი კომპანიის წარმოებულ ვაქცინას, ანუ პატივსაცემი, ხარისხიანი, ასტრაზენეკა, ფაიზერი, მოდერნა, რა ვიცო, ხარისხიანი, ჩინურს ვერა და რუსულსაც ალბათ ვერა, ინფორმაცია არ არის, არ ასაჯაროებენ ამ ინფორმაციებს, დაკეტილ ქვეყნებში, სადაც ინფორმაციის გაცემა არ ხდება, ძალიან საეჭვოა ჩემთვის რა ვიცო". - ექიმი (ოჯახის ექიმი), 50 წლის, არა-კოვიდ კლინიკა 4, ქუთაისი ბათუმი

"აუცილებლად ავიცრები, თუ სანდო ვაქცინა შემოვა. გააჩნია რა გადაწყვეტილებას მიიღებენ. რუსული ვაქცინით არ ავიცრები.“ - ექიმი (პედიატრი), 52 წლის, თბილისი, არაკოვიდ კლინიკა, 7

"ფაიზერი, იმიტომ რომ ნაცნობი ექიმები მყავს, რომლებიც აქებენ, აიცრნენ, ორი ეტაპი უკვე გაიარეს,“ - ექიმი (საყოველთაო ჯანდაცვის სპეციალისტი), ქალი, 41 წლის, დასავლეთ საქართველო

“აი გერმანიის და ამერიკიდან [ვაქცინებს ვენდობი] მაღალი პროცენტულობა აქვს დაცვის, 90%-ზე მეტი“. - ექთანი (ანესთეზია-რეანიმაცია), კაცი, 23 წლის, კოვიდ კლინიკა, თბილისი

# რა განსაზღვრავს ვაქცინის სანდოობას?

მონაწილეები ვაქცინებს ამ სამი ძირითადი კრიტერიუმით აფასებდნენ:

## მწარმოებელი ქვეყანა

- ❖ გერმანული ვაქცინები ყველასთვის სასურველია;
- ❖ რუსულ და ჩინურ ვაქცინებს არ ენდობიან;

## ეფექტურობა

- ❖ ძირითადად ექიმები ახსენებენ;

## მინიმალური გვერდითი მოვლენები

- ❖ ისინი ახსენებენ, ვისაც არ აქვთ დიდი ინფორმაცია ვაქცინებზე;
- ❖ მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ვაქცინის სკეპტიკოსებისთვის.



# ვინ არიან სანდო მესენჯერები?

სამედიცინო პროფესიონალებთან, ეთნიკურ უმცირესობთან და  
სასულიერო პირებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების და  
სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე

# ნდობა ინფორმაციის წყაროების მიმართ

რამდენად ენდობით ან არ ენდობით ინფორმაციას კორონავირუსის ვაქცინის შესახებ, რომელსაც შემდეგი წყაროებიდან იღებთ ...? - 99%-დან, ვინც კორონავირუსის შესახებ ინფორმაციას ღებულობს

■ ვენდობი ■ არ ვენდობი ■ არ ვიღებ ინფორმაციას ამ წყაროდან ■ არ ვიცი ■ უარი პასუხზე

სამედიცინო პროფესიონალები (დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გარდა)



დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი (NCDC)



ხელისუფლება



ჟურნალისტები/მედია



თქვენი რელიგიური ლიდერი/ეკლესია



თქვენი ადგილობრივი მთავრობა (საკრებულო, მერია)




არასამთავრობო ორგანიზაციები




## ნდობა ინფორმაციის წყაროების მიმართ - სამედიცინო სფეროს მუშაკები

რამდენად ენდობით ან არ ენდობით ინფორმაციას კორონავირუსის ვაქცინის შესახებ, რომელსაც შემდეგი წყაროებიდან იღებთ ...? - სამედიცინო პროფესიონალები (დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გარდა) (q25\_3 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)




## ნდობა ინფორმაციის წყაროების მიმართ - NCDC

რამდენად ენდობით ან არ ენდობით ინფორმაციას კორონავირუსის ვაქცინის შესახებ, რომელსაც შემდეგი წყაროებიდან იღებთ ...? NCDC (q25\_2 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)




## ნდობა ინფორმაციის წყაროების მიმართ - ხელისუფლება

რამდენად ენდობით ან არ ენდობით ინფორმაციას კორონავირუსის ვაქცინის შესახებ, რომელსაც შემდეგი წყაროებიდან იღებთ ...? ხელისუფლება (q25\_1 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)




## ნდობა ინფორმაციის წყაროების მიმართ - მედია

რამდენად ენდობით ან არ ენდობით ინფორმაციას კორონავირუსის ვაქცინის შესახებ, რომელსაც შემდეგი წყაროებიდან იღებთ ...? ჟურნალისტები/მედია (q25\_5 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)




# ნდობა ინფორმაციის წყაროების მიმართ - რელიგიური ლიდერი/ეკლესია

რამდენად ენდობით ან არ ენდობით ინფორმაციას კორონავირუსის ვაქცინის შესახებ, რომელსაც შემდეგი წყაროებიდან იღებთ ...? - თქვენი რელიგიური ლიდერი/ეკლესია (q25\_4 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)




# ნდობა ინფორმაციის წყაროების მიმართ - ადგილობრივი მთავრობა

რამდენად ენდობით ან არ ენდობით ინფორმაციას კორონავირუსის ვაქცინის შესახებ, რომელსაც შემდეგი წყაროებიდან იღებთ ...? თქვენი ადგილობრივი მთავრობა (საკრებულო, მერია) (q25\_6 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



# ნდობა ინფორმაციის წყაროების მიმართ - არასამთავრობო ორგანიზაციები

რამდენად ენდობით ან არ ენდობით ინფორმაციას კორონავირუსის ვაქცინის შესახებ, რომელსაც შემდეგი წყაროებიდან იღებთ ...? - არასამთავრობო ორგანიზაციები (q25\_7 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



# ფოკუს ჯგუფები: სანდო მესენჯერები

- რესპოდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას (ექთნები, ეთნიკური უმცირესობები და მართმადიდებელი სასულიერო პირები) ექიმები Covid-19-ის ვაქცინაზე ინფორმაციის მიღების ყველაზე სანდო წყაროდ მიიჩნიათ;
  - ხშირად გაგონილი: “ავიცრები თუ ექიმი მეტყვის, რომ ეს უსაფრთხოა”;
- ექიმების ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ისინი უცხოეთში მოღვაწე ქართველი ექიმების, ჯანმოს, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის, ოფიციალური წყაროებისა და სამეცნიერო ჟურნალების მოსაზრებებს ენდობიან;
- ექთნების და სხვა სამედიცინო პერსონალის თქმით, ისინი თავიანთი კლინიკების ექიმებს ენდობიან;
- სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების ფოკუს ჯგუფების ყველა მონაწილემ აღნიშნა, რომ ჯანმოსა და დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს ენდობიან.


# ფოკუს ჯგუფები: სანდო წყაროები

- ჯანმო და სამთავრობო ვებგვერდები;
- ფეისბუქი;
- ტელევიზია;

- ფოკუს ჯგუფის მონაწილე ექთნები ინფორმაციას ძირითადად სოციალური მედიითა და ტელევიზიით იღებენ
- ფოკუს ჯგუფის მონაწილე ექიმები უფრო მეტად ოფიციალურ და უცხოურ წყაროებს, ასევე სამეცნიერო ნაშრომებს ეყრდნობიან.


# ინფორმაციის წყაროები

ძირითადად რომელი წყაროდან იღებთ ხოლმე ინფორმაციას კორონავირუსის შესახებ? პირველ რიგში, გთხოვთ, დამისახელოთ ინფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვანი პირველი და მეორე წყარო (q23,q24)



# ინფორმაციის წყაროები

ძირითადად რომელი წყაროდან იღებთ ხოლმე ინფორმაციას კორონავირუსის შესახებ?  
პირველ რიგში, გთხოვთ, დამისახელოთ ინფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო  
(q23 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)





# როგორი ენით ვესაუბროთ სამიზნე აუდიტორიას?

სამედიცინო პროფესიონალებთან, ეთნიკურ უმცირესობთან და  
სასულიერო პირებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების და  
სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე

# დამაჯერებელი მესიჯის ფორმულა



ფოკუს ჯგუფების მიგნებებზე დაყრდნობით, ყველაზე დამაჯერებელმა მესიჯებმა აქცენტი უნდა გააკეთოს შემდეგზე:

- თუ როგორ გადაარჩინა ვაქცინაციამ კაცობრიობა;
- რომ ყველა ვაქცინასა და პრეპარატს აქვს გვერდითი მოვლენები;
- რომ კოვიდ-19-ის ვაქცინის შექმნის საშუალება ტექნოლოგიურმა განვითარებამ და მსოფლიოს მასშტაბით საუკეთესო ექსპერტების მობილიზაციამ მოგვცა.

# მესიჯებზე რეაქციები (ფოკუს ჯგუფები)

„COVID-19-ის ვაქცინა რეკორდულად მცირე დროშია შექმნილი, რაც უპრეცედენტო თანამშრომლობისა და ინვესტიციების შედეგია. ვაქცინა შეიქმნა უსაფრთხოების ყველა სტანდარტის დაცვით“

- კვლევის სუბიექტებს არ მოეწონათ ეს მესიჯი
- არ არის საჭირო მოკლე დროზე ხაზის გასმა
- არადამაჯერებელია და უფრო მეტ ეჭვს იწვევს ვიდრე ნდობასო

„COVID-19-ით ინფიცირების დროს საკმაოდ მაღალია რისკი, რომ დაავადება ძვირფას ადამიანებს გადასცეთ და მათი სიცოცხლე რისკის ქვეშ დააყენოთ. ვაქცინაცია ყველაზე უსაფრთხო არჩევანია“

- ჯგუფები ორად გაიყო - ზოგიერთ მონაწილეს (ძირითად შემთხვევაში ექიმებსა და ექთნებს) მოეწონათ მესიჯი, ზოგიერთს კი არა
- მესიჯში ფრაზის - “ძვირფასი ადამიანების დაცვა” - გამოყენება ეფექტურია
- ვაქცინაცია, როგორც “ყველაზე უსაფრთხო არჩევანი” არადამაჯერებელი აღმოჩნდა ზოგიერთისთვის. შემოთავაზებული იყო შემდეგი ფრაზით ჩანაცვლება “ვაქცინაცია პანდემიის დასრულების ერთადერთი გამოსავალია”.

# მესიჯებზე რეაქციები (ფოკუს ჯგუფები)

„COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინების შესაძლო გვერდითი მოვლენები დროებითია და COVID-19-ის ინფექციასთან შედარებით გაცილებით მსუბუქია“

- სამედიცინო პერსონალის დიდმა ნაწილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს და არც საკმარისი დროა გასული იმის სათქმელად, რომ გვერდითი მოვლენები მსუბუქი და დროებითია.

„თუ ვაქცინაციის შემდეგ ერთი-ორი დღის განმავლობაში დისკომფორტს იგრძნობთ, იცოდეთ, ეს სინამდვილეში იმის ნიშანია, რომ თქვენი სხეული COVID-19-ის წინააღმდეგ ანტისხეულებს გამოიმუშავებს“

- ბევრმა მოიწონა მესიჯი, თუმცა
- ზოგი შიშობს რომ ხალხმა შესაძლოა ვერ გაიგოს მისი მეცნიერული საფუძველი
- ზოგისთვის გაუგებარი იყო ეს მესიჯი: თუ დისკომფორტი არ აღინიშნება, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ ვაქცინა არ მუშაობს?

# მესიჯებზე რეაქციები (ფოკუს ჯგუფები)

„მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უკვე მილიონობით ადამიანი აიცრა კორონას საწინააღმდეგო ვაქცინით. თუ ვაქცინა მათთვის უსაფრთხოა, მაშინ თქვენთვისაც უსაფრთხო იქნება“

- კვლევის სუბიექტების უმრავლესობა ამ მესიჯს სანდოდ მიიჩნევს
- თუმცა ბევრმა თქვა, რომ აჯობებს წინადადების მეორე ნაწილიდან „თუ“ ამოვიღოთ
- ზოგიერთმა ადამიანმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ ფრაზამ, შესაძლოა, ადამიანები შეცდომაში შეიყვანოს, რადგან ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით რა გრძელვადიანი შედეგები შეიძლება ჰქონდეს ვაქცინას.

„ვაქცინაციას ეფექტი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ მოსახლეობის უმრავლესობა აიცრება. შეიტანე შენი წვლილი, აიცერი და დაიცავი სხვები“

- კვლევის სუბიექტების უმრავლესობას მოეწონა მესიჯი
- ალტერნატიული შეთავაზება: მოსახლეობის უმეტესობის ვაქცინაცია პანდემიის დასრულების ერთადერთი გზაა.




# მოსალოდნელი შეკითხვები

სამედიცინო პროფესიონალებთან, ეთნიკურ უმცირესობთან  
და სასულიერო პირებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების და  
სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე

# ხშირად დასმული შეკითხვები (ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების დროს)

- უსაფრთხოა ვაქცინა?
- რა არის ვაქცინის შესაძლო მოკლე და გრძელვადიანი გვერდითი მოვლენები?
- უნდა ვენდოთ თუ არა ჯანდაცვის ექსპერტებსა და მთავრობას მაშინ როცა ვაქცინა ასე სწრაფად შეიქმნა?
- როგორ მოქმედებს კოვიდ-19-ის ვაქცინა?
- კვლავ დამჭირდება ნიღბის ტარება?
- შესაძლებელია ვაქცინით კოვიდ 19-ით დაინფიცირდე?
- ვარ ორსულად - კოვიდ-19-ის ვაქცინა ორსულობის დროს უსაფრთხოა?
- შეიძლება ვაქცინამ უშვილობა გამოიწვიოს?
- როდის ჩამოვა ვაქცინები?



# რეკომენდაციები

სამედიცინო პროფესიონალებთან, ეთნიკურ უმცირესობთან და  
სასულიერო პირებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების და  
სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე

# ექიმების რჩევები (ფოკუს ჯგუფების მიხედვით)

- დროული საინფორმაციო კამპანიის დაწყება ვაქცინაციის პროცესის მიმართ მოსახლეობაში ინფორმირებულობისა და ნდობის ასამაღლებლად;
  - განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონებში ვაქცინაციის პროცესს და ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდას;
- ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტები - განურჩევლად ასაკისა - ვაქცინაციის სქემაში პრიორიტეტი უნდა იყვნენ;
  - ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ვაქცინაცია შედარებით სწრაფად უნდა მოხდეს;
- მნიშვნელოვანია ვაქცინაციის ცენტრების კარგად აღჭურვა, პერსონალის გადამზადება (რათა ისინი მზად იყვნენ ნებისმიერი გართულებისთვის) და ღირსეული ხელფასების გადახდა;
- პოსტ-კოვიდური გართულებების სამართავად კონკრეტული გაიდლაინები და ინსტრუქციები უნდა შემუშავდეს;
  - უნდა შეიქმნას პოსტ-კოვიდური ცენტრები და მათ სამართავად ექიმები გადამზადდნენ;
- უნდა მოხდეს უსაფრთხოების რეგულაციების სათანადო აღსრულება.

მათი სიტყვებით

*ექიმების რეკომენდაციები*

# ციტატები (ექიმები)

“მიეცეს რეკომენდაციები, მკვეთრად განსაზღვრული რეკომენდაციები მართვის, ჰოსპიტალიზაციის, ამბულატორიული მართვის პროტოკოლები და მკვეთრად განსაზღვრული პროტოკოლები იმიტომ, რომ როგორც მეორე ტალღამ გვაჩვენა, არ შეხვდა ამას ჯანდაცვა მომზადებული.” - *ექიმი (ზოგადი მედიცინა), ქალი, 41 წლის, არა-კოვიდ კლინიკა, ბათუმი*

“მაქსიმალურად უნდა იყოს კარგად ორგანიზებული. უნდა იყოს გეგმა მკაფიოდ და კარგად გაწერილი, დაგეგმილი. სად, როგორ, რატომ, არის კაბინეტები, გვაქვს ასე ვთქვათ ბევრი ვაქცინაციის კაბინეტები და გამოყენებული უნდა იყოს ის რესურსი და მისცენ ექიმებს ანაზღაურება ნორმალური, ნუ დაჟოშკავენ, ვინც მიიღებს მონაწილეობას ამ აცრაში, ეს უდიდესია სამუშაოა და აუნაზღაურონ წესიერად.” - *ექიმი (იმუნოლოგი), ქალი, 65 წლის, არა-კოვიდ კლინიკა, თბილისი*

“გართულებები, მეტი არაფერი, გართულებები მოყვება ამას და უნდა იყოს სახელმწიფო მობილიზებული ისე, რომ ამასთან შებრძოლებაში მობილიზაცია უკვე გაკეთებული უნდა იყოს, უნდა იყოს ის ცენტრები, ის ბოქსები თუნდაც ასაცრელი, კაბინეტებში შექმნილი, რომ მათ დახმარება გაუწიონ” - *ექიმი (ოჯახის ექიმი), ქალი, 41 წლის, ვანი*

# ციტატები (ექიმები)

“სანამ ვაქცინა შემოვა, რეგულაციები მაქსიმალურად ზუსტად, წერტილოვანი რეგულაციები, თუ რამე შეზღუდვები საჭიროა და აი ეს სტრატეგია, ზუსტად და სწორად უნდა განსაზღვროს და რეკომენდაციები, ზუსტად უნდა მიაწოდონ, რომ შედეგი იყოს ისეთი, როგორიც დავუშვით შევინარჩუნოთ დღევანდელი შედეგი რაც არის“ - *ექიმი (ოჯახის ექიმი), ქალი, 58 წლის, ვანი*

“იქნება რეგიონშიც, ჩემი რჩევა იქნება, აი ძალიან მძიმე მდგომარეობაა რეგიონში, ყველა თვალსაზრისით, იქ ძალიან დიდი სამუშაოს ჩატარება მოგვიწევს, ყველას ერთად, ჩვენც თქვენც, ძალიან დაბალია ასე თუ ისე არ მინდა ეხლა სხვანაირად გამიგოთ, უფრო რთულად იქნება მისაწოდებელი ინფორმაცია და მეტად რთულად გასაგები მათთვის, ვიდრე დიდ ქალაქებში და ასევე ალბათ ვაქცინაციის პროცესის, თვითონ უშუალოდ შემსრულებლებს და მაღალი თანამდებობის პირებსაც და წარმომადგენლობით ჯგუფებსაც, კარგი იქნება თუ დააკვირდებიან“- *ექიმი (ინფექციონისტი), ქალი, 58 წლის, კოვიდ კლინიკა, თბილისი*

# ზოგადი რეკომენდაციები

- აუცილებელია COVID-19 ვაქცინაციის შესახებ ზუსტი და დროული საინფორმაციო კამპანიის ჩატარება;
  - ამ პროცესში ექიმები და სამედიცინო სფეროს პროფესიონალები (მათ შორის საზღვარგარეთ მოღვაწე ექიმები) ინფორმაციის ძირითადი წყაროები და მესენჯერები უნდა იყვნენ;
- პასუხისმგებელმა ორგანოებმა და კლინიკებმა უნდა ჩაატარონ ექთნებსა და სხვა სამედიცინო პერსონალზე ორიენტირებული საინფორმაციო კამპანია, რომელიც აღმოფხვრის კოვიდ-19-ის ვაქცინის შესახებ არსებულ სკეპტიციზმს;
- კამპანიის გზავნილები ფოკუსირებული უნდა იყოს სამეცნიერო არგუმენტებზე და არა კონსპირაციულ თეორიებსა და რელიგიურ განწყობებზე;
- პასუხისმგებელმა უწყებებმა ყურადღება უნდა მიაქციონ მართმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობას, მიაწოდონ სათანადო ინფორმაცია და უპასუხონ მათ ყველა შეკითხვას;
- ეთნიკური უმცირესობებთან კომუნიკაცია მათ ენაზე, ადგილობრივი მედიების საშუალებით, ადგილობრივი ექიმებისა და საზოგადოებრივი ლიდერების დახმარებით უნდა განხორციელდეს.



**NDI-ის კვლევის  
შედეგები შეგიძლიათ იხილოთ:**

[www.ndi.org/georgia-polls](http://www.ndi.org/georgia-polls)  
[www.caucasusbarometer.org](http://www.caucasusbarometer.org)